მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **N 01.18.01.002.203**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882016843404 - 06/12/2016 15:42:44	**06/12/2016 16:38:24**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	კრწანისი		
01	**18**	**01**	**002/203**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ბაღი ბოტანიკური , მიმდებარე ტერიტორია / ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , (ნაკვეთი 02/068)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 397577.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.18.01.001.002; 01.18.01.002.160;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016824135 , თარიღი 29/11/2016 15:48:47
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/11/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 29/11/2016, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
- ხელშეკრულება Nე-308-26-19647 , დამოწმების თარიღი:13/05/2016 , ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი NE-308-26-19647 , დამოწმების თარიღი:03/05/2016 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- საკუთრების უფლების მოწმობა N14343 , დამოწმების თარიღი:20/05/2016 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს თაბორი რიზორთსი, ID ნომერი:405147755

მესაკუთრე:
შპს თაბორი რიზორთსი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016820347 თარიღი 28/11/2016 16:20:55	გამყიდველი: სახელმწიფო; მესაკუთრე: შპს თაბორი რიზორთსი405147755; საგანი:მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 100000.00 კვ.მ. ; ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით;
	შეთანხმება N161340230 , დამოწმების თარიღი:22/11/2016 ,ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე ,
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 28/11/2016	
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016318519 თარიღი 23/05/2016 17:18:13	გამყიდველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი204521794; მყიდველი: შპს თაბორი რიზორთსი405147755; საგანი:ფართი 297576 კვ.მ; მხარეები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების პირობები;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/05/2016	ხელშეკრულება Nე-308-26-19647 , დამოწმების თარიღი:13/05/2016 , ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო , საკუთრების უფლების მოწმობა N14343 , დამოწმების თარიღი:20/05/2016 , ქალაქ თბილისის მერიის სჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო , აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი NE-308-26-19647 , დამოწმების თარიღი:03/05/2016 , ქალაქ თბილისის მერიის სჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო ,

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

პირობებით გამოცხადებული აუქციონის

ხელშეკრულება

№-308-26-19647

„13" „05" „2016" ქ. თბილისი

(რიცხვი, თვე, წელი)

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა *შპს „თაბორი რიზორთსი"-სთან ს/კ 405147755*

(აუქციონში გამარჯვებულის) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/ იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისამართი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის" მოთხოვნების შესაბამისად

მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.18.01.002.160) ფართობით 297 576 კვ.მ

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი, ქონების დასახელება, მონაცემები საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, ფართობი, წილის ოდენობა და ქონების სხვა აღწერილობა)

მდებარე - *ქ. თბილისი, დასახლება ოქროყანა*

(ქონების მისამართი)

ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური: *6 233 000 (ექვსი მილიონ ორას ოცდაცამეტი ათასი) ლარი.*

(ციფრებით) (სიტყვიერად)

შემდგომი პრივატიზების მიზნით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ ჩატარებულ **N 308 აუქციონზე N26 ლოტზე** მის მიერ

შემოთავაზებული ფასის: *6 326 495 (ექვსი მილიონ სამას ოცდაექვსი ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი*

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – აუქციონში გამარჯვებული) და მას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის" მოთხოვნების შესაბამისად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ საკუთრებაში გადაეცემა

მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.18.01.002.160) ფართობით 297 576 კვ.მ სარეკრეაციო ზონა (რზ-2)

(შემდგომში– ქონება)

(ქონების დასახელება, მონაცემები საჯარო რეესტრიდან მათ შორის ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

(აუქციონის პირობები:)

ა) აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასური: *6 326 495 (ექვსი მილიონ სამას ოცდაექვსი ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი*

ლარი

(ციფრებით) (სიტყვიერად)

გადაიხადოს წინამდებარე *ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის* ვადაში

(აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ვადა)

~~შემდეგ საბანკო ანგარიშზე~~ აუქციონში გამარჯვებულის პირად გვერდზე ასახულ ინვოისში მითითებულ ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო ანგარიშზე

ბ) სამშენებლო ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 (ორმოცდა რვა) თვის ვადაში განახორციელოს არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური/დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20000 (ოცი ათასი) კვ.მ.

გ) სასტუმრო კომპლექსისთვის უზრუნველყოს არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობა.

დ) ხელშეკრულების გაფორმებიდან სააუქციონო პირობების (ვალდებულებების) შესრულებამდე პერიოდის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში განახორციელოს გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განახლება (ახალი ხე-ნარგავების შერგვა), ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და საირიგაციო სისტემის მოწყობა

სხვა პირობები და ვალდებულებები:

1. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად დაფარვამდე, აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა მფლობელობაში, ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
2. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათ შესრულებაზე წარუდგინოს ინფორმაცია აუქციონატორს.
3. აუქციონში გამარჯვებულს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გადაცემული ქონება განკარგოს, გადასცეს სხვას სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
4. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ოქმითა და წინამდებარე ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.
5. შეძენილი ქონების სააუქციონო პირობებთან მიმართებაში ყოველი ახალი მესაკუთრე წარმოადგენს აუქციონში გამარჯვებულის უფლებამონაცვლეს.
6. ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.
7. ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ოქმითა და ხელშეკრულებით ელექტრონული აუქციონის პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

   ა)ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელი თანხის 0.1% - დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

   ბ)საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% - დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

   გ)აუქციონში გამარჯვებულის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველდარღვევაზე - ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%.

8. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად. აუქციონში გამარჯვებულს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, არ უბრუნდება შეტანილი "ბე" ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია, გადახდილი თანხები და ქონებაზე გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება;
9. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის, მომსახურების საფასურის და განვადების საფასურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ. ხოლო, წილებისა და აქციების შემთხვევაში - შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში

რეგისტრაციის შემდეგ. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა და საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.

10. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს აუქციონატორი.
11. აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე" ჩაითვლება ანგარიშწორებისას.
12. ელექტრონულ აუქციონშიგამარჯვებულს, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემთხვევაში, წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.
13. იმ შემთხვევაში თუკი ოქმითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულია შეზღუდვები, აღნიშნული განიხილება როგორც შეძენილი ქონების შემდგომი განკარგვისა და განვითარებისთვის გასათვალისწინებელი პირობა.
14. პრივატიზებულ ობიექტზე ნებისმიერი ნებართვა, ლიცენზია გაიცემა ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობა წარმოებს საპრივატიზებო შეზღუდვების გათვალისწინებით.
15. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
16. პრივატიზებულ ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.
17. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი რჩება გამყიდველს, ხოლო ერთი გადაეცემა აუქციონში გამარჯვებულს.
18. აუქციონში გამარჯვებული ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს, და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.
19. ხელშეკრულებას, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:

1. ამონაწერი საჯარო და/ან სამეწარმეო რეესტრიდან;
2. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული იურიდიული პირია, იურიდიული პირის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;
3. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო
აუქციონატორი:
კარლო ლაფერაძე
_____

(ხელმოწერა)

აუქციონში გამარჯვებული პირი:
შპს „თაბორი რიზორთსი"
წარმომადგენელი:
_____

(ხელმოწერა)

_____ ბეჭდის ადგილი

დანართი

შეთანხმება

ქ.თბილისი

22 ნოემბერი 2016

ქალაქ თბილისის მერიასა (მთავრობას) და შპს „ფინსერვისი XXI"-ს (ს/ნ 205030214) შორის 2007 წლის 13 ივნისს გაფორმებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციის N3057/1) ცვლილების შეტანის თაობაზე

ერთის მხრივ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა** (შემდგომში „გამყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, 2016 წლის 21 ნოემბრის N01 8/7926 მინდობილობის საფუძველზე (KA980144409530316) უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის საინვესტიციო პროექტებისა და მარკეტინგის განყოფილების უფროსის ანა კურტანიძის (პირადი ნომერი: 01019023798) სახით, ხოლო მეორე მხრივ, **შპს „ფინსერვისი XXI"** (ს/ნ 205030214) (შემდგომში „მყიდველი"), წარმოდგენილი შპს „ფინსერვისი XXI"-ს დირექტორის ვეფხვია დვალის (პირადი ნომერი: 38001004585) სახით , მოქმედი შპს „ფინსერვისი XXI" –ის 2016 წლის 21 ნოემბრის კრების ოქმის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N161336205) საფუძველზე,

"ქალაქ თბილისის მერიასა (მთავრობა) და შპს „ფინსერვისი XXI"-ს (ს/ნ 205030214) შორის 2007 წლის 13 ივნისს გაფორმებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით (რეესტრში რეგისტრაციის N3057/1) გათვალისწინებული პირობის შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის N40.07.875 განკარგულების და „ქალაქ თბილისის მერიასა (მთავრობას) და შპს „ფინსერვისი XXI"-ს (ს/ნ 205030214) შორის 2007 წლის 13 ივნისს გაფორმებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით (რეესტრში რეგისტრაციის N3057/1) გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე" ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N356 განკარგულების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეცვდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიასა (მთავრობას) და შპს „ფინსერვისი XXI"-ს (ს/ნ 205030214) შორის 2007 წლის 13 ივნისს გაფორმებულ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ" (რეესტრში რეგისტრაციის N3057/1) ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება") და ხელშეკრულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ნასყიდობის ფასი, მისი გადახდის წესი და სხვა პირობები:

2.1. ნასყიდობის საგანი გადაეცა 3 600 000 (სამი მილიონ ექვსასი ათასი) ლარად. (1 კვ.მ.) მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 36 (ოცდათექვსმეტი) ლარს.

2.2. „მყიდველი" უფლებამოსილია „ნასყიდობის საგანიდან" 8000 კვ.მ. ზე განახორციელოს მშენებლობა.

ანა კურტანიძე

ვ[illegible]

2.3. „მყიდველი" უფლებამოსილია „ნასყიდობის საგანის" დარჩენილ მიწის ნაკვეთზე განახორციელოს სპორტული ინფრასტრუქტურის, მათ შორის, გოლფის მოედნების, გზების, ბილიკების, დამხმარე/ტექნიკური ნაგებობების მშენებლობა და მოწყობა, რეკრეაციული ფუნქციის შენარჩუნების პირობით.

2.4. "მყიდველი" ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 და 2.3 პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესრულების მიზნით არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრამდე „ნასყიდობის საგანზე" თავად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით განახორციელოს არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ინვესტიცია.

2. „მყიდველი" ვალდებულია ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.4 პუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10 (ათი) პროცენტის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

3. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია მისი მოქმედების ვადის განმავლობაში უზრუნველყოფს „მყიდველის" მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

4. „მყიდველის" მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმკარგავის მიერ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

5. „მყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს „ხელშეკრულების" მე-2 მუხლის 2.4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადის ამოწურვიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, „გამყიდველისათვის" აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის წარდგენა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული პირის/პირების მიერ და რომელიც ასახავს „ხელშეკრულების" მე-2 მუხლის 2.4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების „მყიდველის" მიერ შესრულებას.

ანა ჯოხაძე

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის“ მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

7. „მყიდველი“-ის მიერ ხელშეკრულების 2.4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველი“ იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, პირგასამტეხლო განისაზღვრება დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისა და ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ.

9. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერიასა (მთავრობას) და შპს „ფინსერვისი XXI“-ს (ს/ნ 205030214) შორის 2007 წლის 13 ივნისს გაფორმებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების (რეესტრში რეგისტრაციის N3057/1) განუყოფელ ნაწილს.

10. „მყიდველი“ ვალდებულია აანაზღაუროს წინამდებარე შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯები.

11. შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორ-ორი ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

„გამყიდველი“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო ანა ხეჩინაძე

„მყიდველი“

შპს „ფინსერვისი XXI“

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N161340230
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.11.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ოდილავაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი ჟ. შარტავას ქ 7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	378324
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	03489525412516

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შარტავას ქ.№7-ში. მომმართეს: **ანა კურტანიძემ** და **ვეფხვია დვალმა.**

მათ მოითხოვეს შეთანხმებაზე ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება, მხარეს წაეკითხა ხმამაღლა და განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **ანა კურტანიძემ** (დაბ.26.06.1987წ., პირადი №01019023798) და **ვეფხვია დვალმა** (დაბ.10.03.1977წ., პირადი №38001004585) მომმართეს.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავისი ხელმოწერები, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 12.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა და დღგ 2.16 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის №169-ე მუხლის პირველი ნაწილისა, აგრეთვე გადახდილია ელეტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე